რეგიონული სასწავლო ტური

საკონკურსო განაცხადი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში ცენტრი) აცხადებს კონკურსს თბილისის სკოლების ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის სუპერვიზორის პოზიციაზე. ცენტრს სუპერვიზორები ესაჭიროება პროექტში „რეგიონული სასწავლო ტური სპეციალური მასწავლებლებისთვის“ მონაწილეობისთვის.

აღნიშნულ პროექტს ცენტრი ახორციელებს, რათა ხელი შეუწყოს ინკლუზიური განათლების განვითრებას რეგიონებში. პროექტის მიზანია, საშუალება მისცეს რეგიონის სკოლებში დასაქმებულ ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს ჩამოვიდნენ თბილისში და გაიზიარონ თბილისის ყველაზე წარმატებული სკოლების ინკლუზიური განათლების პრაქტიკა, ნახონ, რა ფაქტორები განაპირობებს ინკლუზიური განათლების წარმატებას ამა თუ იმ სკოლაში, დასვან შეკითხვები, შეისწავლონ სწავლების და სსსმ მოსწავლის კლასში/სკოლაში ინტეგრაციის ეფექტური სტრატეგიები. მოცემული წლის შემოდგომაზე (ოქტომბერში) მასწავლებლის სახლი უმასპინძლებს ინკლუზიური განათლების 30 სპეციალისტს (სპეციალური მასწავლებლი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ფსიქოლოგი) რეგიონებიდან. სპეციალისტები განაწილდებიან 10 ინკლუზიურ სკოლაში, სადაც მათ ეყოლებათ სუპერვიზორები. თითოეული სუპერვიზორი უმუშავებს სამ მასწავლებელთან, შესაბამისად, პროექტს ესაჭიროება 10 სუპერვიზირი.

შერჩეული სუპერვიზორები მასწავლებლის სახლში გაივლიან 2 დღიან სპეციალურ მოსამზადებელ პროგრამას, რაც მათ დაეხმარებათ, უხელმძღვანელონ პროექტის მონაწილე სპეციალურ მასწავლებლებს.

დაინტერესებულ პირებს მოგმართვთ თხოვნით, წარმოადგინოთ თქვენი კანდიდატურა დასახელებულ პოზიციაზე არაუგვიანეს 20 ივლისისა.

აპლიკანტს მოეთხოვება ჰქონდეს:

1. სპეციალური პედაგოგიკის საფუძვლიანი ცოდნა.
2. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება.
3. სსსმ მოსწავლის პედაგოგიური შეფასების, ისგ-ს შედგენის და განხორციელების კარგი პრაქტიკული უნარები.
4. მშობლებთან და სკოლის სოციუმთან პოზიტიური კომუნიკაციის კარგი უნარები.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. CV
2. სპეციალურ პედაგოგიკაში მოპოვებული ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომის, სერტიფიკატების ასლები)
3. სამოტივაციო წერილი
4. სკოლის დირექტორის წერილი, სადაც ის ადასტურებს, რომ პრეტენდენტს მოცემულ ეტაპზე აქვს მოქმედი ხელშეკრულება სკოლასთან, როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტს და ასევე სკოლის მზაობას, რომ ჩაერთოს პროექტში და უმასპინძლოს სპეციალურ მასწავლებლებს სხვა სკოლებიდან.

დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ ელექრონულ მისამართზე: info@tpdc.ge